

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის
სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

ფილოლოგია

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი, 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური
მხარდაჭერის სრული(ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“



გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“
ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ
საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ
გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის
შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia
Foundation. The views, opinions and statements expressed by the
authors and those providing comments are theirs only and do not
necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.
Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for
the content of the information material

კონცეფციის ავტორები და შემდგენლები: **კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია**

მთარგმნელი: **გიზხანუმ ახმედოვა**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

ISBN

აბრევიატურა - სიტყვების პირობითი შემოკლება.

აგლუტინაციური ენები - აგლუტინაციურ ენებში აფიქსი მექანიკურად ერთვის ფუძეს. აფიქსის დართვისას არც ფუძე განიცდის ცვლილებას და არც აფიქსი.

ავტოგრაფი - 1) ავტორის ხელნაწერი. 2) ავტორის ხელმოწერა ან რაიმე წარწერა მისსავე დაბეჭდილ ნაწარმოებზე.

ავტორი - პირი, რომელიც ქმნის ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების ნიმუშებს. ავტორად შეიძლება მოგვევლინოს დანესებულების ან ორგანიზაციის კოლექტივი (კოლექტიური ავტორი).

აკადემიური ენა - ენა, რომელიც გამოიყენება აკადემიური დისციპლინების შესასწავლად ფორ-

Abbreviatura – სözlərin şərti qısaltılması.

Aqqlütinativ dillər – Bu dillər üçün şəkilçilərlə sözdüzəltmə və sözdəyişmə sistemli xarakter daşıyır. Affiks əlavə etdikdə nə kök dəyişir və nə də ki affiks.

Avtoqraf – 1) müəllifin imzası. 2) müəllifin imzası və ya hər hansı bir yazı onun çap etdiyi əsərin üzərində.

Müəllif – Ədəbiyyat, elm, incəsənət əsərlərini yaradan şəxs. Müəllif müəssisənin və ya təşkilatın kollektivi (kollektiv müəllifi)

Akademik dil – akademik intizamların öyrənilməsi üçün rəsmi dərs mühitində istifadə edilən dil; dil aspektləri ki, bunlar da savadla və

მალურ სასწავლო გარემოში; ენის ასპექტები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული წიგნიერებასა და აკადემიურ მიღწევებთან, სპეციფიკური აკადემიური ტერმინების, ტექნიკური ენის და ამა თუ იმ კონკრეტულ დარგთან დაკავშირებული სპეციფიკური ენობრივი რეგისტრის ჩათვლით.

ალეგორია - გადაკრულად ნათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მასში ნათქვამია ერთი და იგულისხმება მეორე ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი და სხვ.). მისი მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა

ალიტერაცია - ერთი და იმავე მსგავსი თანხმოვანი

akademik nailiyətlə sıx əlaqədədirlər, spesifik akademik terminlərin, texniki dilin və bu və ya digər konkret sahə ilə əlaqədar spesifik dil registrinin nəzərə alınması ilə.

Alleqoriya — məcazi ifadə növlərindən biri, hər hansı bir mücərrəd fikrin, anlayışın konkret predmet və ya hadisənin köməyi ilə təsvir edilməsidir. Onda biri deyilir və ikinci nəzərdə tutulur (atalar sözü, tapmaca, təmsil və s.). Onun məqsədi müəllifin fikrinin maskalanmasıdır.

Aliterasiya – eyni oxşar samit səslərin şeir sətirlərində

ბგერების განმეორებაა სალექსო სტრიქონში. გამოსახვის პოეტური ხერხი, ემოციური ზეგავლენის საშუალება, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა. ქმნის ლექსის კეთილხმოვანებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას.

ანდაზა - ხალხური სიტყვიერების უანრი სინამდვილის გონებამახვილურად განზოგადება. დამრიგებლობითი შინაარსის იუმორისტულ-სატირული ხასიათის თქმა. ანდაზათა უმრავლესობა რაიმე საყოველთაოდ მიღებულ ნორმას ან პრაქტიკულ კონცეფციას გამოხატავს. თუ ანდაზა გამოირჩევა განსაკუთრებით დახვეწილი სტილით, მას „აფორიზმი“ ეწოდება. ანდა-

təkrarlanmasıdır. İfadənin poetik tərzı, emosional təsir vasitəsi, səslərin musiqili tərtibat forması. Şeirın xoş səslənməsini, sözün mənasının akustik əyanılıyını yaradır.

Atalar sözü - xalqın yaratdığı və əsrlərdən bəri özünə həyat düsturu etdiyi hikmətli və möcuz sözlərdir. Öyüd-nəsihət məzmunlu yumoristik-satirik xarakterli ifadə. Atalar sözlərinin əksəriyyəti hər hansı bir ümumi qəbul edilən normanı və ya praktiki konsepsiyanı ifadə edir. Əgər atalar sözləri xüsusi mükəmməl tərzlə seçilirsə, o zaman onu “aforizm” adlandırırlar. Atalar sözləri bir çox hallarda müxtəlif dillərdən və mədəniyyətlərdən götürülüb və bəzən müasir həyatda da bir dildə çoxlu mənbədən irəli gəlir. Öyüd-nəsihət xarakterinə baxmayaraq, atalar sözlərinin mütləq müdrikliliyi (xalq müdrikliliyi) və ya mütərəqqi mənəvi-

ზები სხირად ნასესხებია სვადასხვა ენებიდან და კულტურებიდან და ზოგჯერ თანამედროვეობაში ერთ ენაზე მეტი წყაროდან მომდინარეობს. მიუხედავად დამრიგებლური ხასიათისა, მცდარია აზრი იმის შესახებ, თითქოს ანდაზა აუცილებლად წარმოადგენს სიბრძნეს (სახალხო სიბრძნეს) ან გვანდის პროგრესულ მორალურეთიკურ ნორმას. სხირია მაგალითი იმისა, რომ ანდაზა ეფუძნებოდეს უმეცარ, მაგრამ ხალხში გავრცელებულ საერთო აზრს.

არსებითი სახელი - მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს. *სავანი* ჰქვია ყველაფერს, რასაც ვინ ან რა კითხვა დაესმის. მაგ., არსებითი სახელებია: *ქალი, კაცი, ბავშვი, ცხვარი, ცხენი,*

etik normanı təqdim etməsi fikri yanlışdır. Atalar sözlərinin camaat içində yayılmış ümumi fikrə əsaslanmasına misallar çoxdur.

İsim – nitq hissəsi, əşya bildirir. Hər şey əşya adlanır və kim və nə suallarına cavab verir. Məs., isimləridir: qadın, kişi, uşaq, qoyun, at,daş, çay, dağ, qartal, hava, həqiqət, tale, vicdan...

*ქვა, მდინარე, მთა, არწივი,
ჰაერი, ჭეშმარი-ტება, ბედი,
სინდისი...*

არშია - ტექსტის გარშემო დატოვებულ ცარიელ არეს აშია ერქვა.

ასპექტი ჰქვია ზმნის ფორმას, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგვიდგენს. მაგ., *ვხატე* და *დავხატე* წარსული დროის ფორმებია, რომელთაგანაც პირველი მოქმედებას დაუსრულებლად წარმოგვიდგენს, ხოლო მეორე - დასრულებულად. ამის მიხედვით ასპექტი ორგვარია: უსრული და სრული.

აფორიზმი დახვეწილი, ლაკონური ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრი. შეიძლება იყოს პოეტურიცა და პროზაულიც. ხშირად დიდი მწერლების შემოქმედებაში. ქართულ ლიტერატურაში აფორიზმის დიდოსტატია რუსთაველი ("სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი", "ვინც მოყვარესა

Haşiyə - mətnin ətrafında buraxılmış boş sahə haşiyə adlanır.

Aspekt feilin forması adlanır ki, bu da hərəkətin bitdiyini və ya bitmədiyini təqdim edir. Məs., çəkirmiş və çəkdi keçmiş zaman formalarıdır, onlardan birincisi hərəkətin bitmədiyini, digəri isə bitdiyini göstərir. Buna əsasən də aspekt iki növdə olur: bitmiş və bitməmiş.

Aforizm mükəmməl, lakonik forma ilə söylənilmiş müdrik fikir. Poetik və prozaik ola bilər. Bir çox hallarda böyük yazıçıların yaradıcılığında. Gürcü ədəbiyyatında aforizmin böyük ustası Rustaveli idi (Adsız həyatdan şərəfli ölüm yaxşıdır, Kim sevimlilərini axtarmırsa, özünün düşmənidir və s.)

არ ეძებს, იგი თავისი მტერია" და სხვა).

აქტიური ლექსიკა - ლექსიკა, რომელსაც ენის შემსწავლელები და მომხმარებლები რეალურად იყენებენ ლაპარაკისა და წერის პროცესში.

ბესტსელერი - წიგნი, რომელსაც განსაკუთრებული კომერციული წარმატება აქვს, უზარმაზარი ტირაჟით გამოდის და დროებით ან მუდმივად.

ბიბლიოთეკა - კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დანიშნულება არის გარკვეული გეგმის შესაბამისად თავი მოუყაროს ბეჭდვით ნაწარმოებებს, დაამუშაოს ისინი და მოემსახუროს ამ ლიტერატურით მკითხველს.

ბილინგვიზმი - იხ. *ორენოვანება*.

ბიოგრაფია - ადამიანის

Aktiv leksika – danişıq və yazı prosesində dil öyrənənlərin real olaraq istifadə etdikləri leksika.

Bestseler – xüsusi kommersiya nailiyyəti olan, nəhəng tirajla, müvəqqəti və ya daimi çap edilən kitab.

Kitabxana – mədəni-maarif müəssisəsidir. Onun təyinatı müəyyən plana uyğun olaraq çap əsərlərini bir araya toplamaq, onların üzərində işləsin və bu ədəbiyyatla oxucuya xidmət göstərsin.

Bilingvizm – bax ikidillilik

Tərcümeyi-hal insanın həyatının

ცხოვრების აღწერა. ლიტერატურისა და ზოგიერთი მედიის (მაგ. კინოს) ერთ-ერთი უანრი, რომელსაც ინდივიდუალური ცხოვრების წერილობითი აღწერა უდევს საფუძვლად. ძირითადად დოკუმენტურ წყაროებს ეყრდნობა და გამოგონილი არ არის.

ბოლოამბავი მხატვრული ნაწარმოების (ტექსტის) ის ნაწილია, სადაც ჩანს მოქმედ გმირთა ისტორია კვანძის გახსნის შემდგომ.

ბრუნება - ერთი და იგივე სახელი მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს. მნიშვნელობის შეუცვლელად დაბოლოებათა მიხედვით სახელის ცვლას ბრუნება ჰქვია.

təsviri. Ədəbiyyatın və bəzi medianın (məsələn, kinonun) janrlarından biridir ki, fərdi həyatın yazılı təsviri əsasında durur. Əsasən sənədli mənbələrə əsaslanır və uydurulmur.

Son əhvalat bədii əsərin (mətnin) hissəsidir ki, burada düyün açıldıqdan sonra qəhrəmanların tarixi görünür.

Hallandırma – eyni ad mənasına dəyişmədən yeddi müxtəlif formada təsadüf edilə bilər. Mənası dəyişmədən sonlarına əsasən adın dəyişməsi hallandırma adlanır.

ბრუნვა - სახელის ფორმის ცვლა, რომლის დროსაც არ იცვლება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა: მაგ. კაც-ი, კაც-მა, კაც-ს.

ბრძანებითი წინადადება - ბრძანებითია წინადადება, რომელიც მოითხოვს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას.

გავრცობილი წინადადება - გავრცობილია წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთი ან მეტი არამთავარი წევრიც.

გამეორება - პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გამეორება.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები - წინადადების წევრი

Hal – adın formasının dəyişməsi, bu zaman sözün leksiki mənası dəyişmir: məs.kişi, kişi-nin, kişi-yə....

Əmr cümləsi – söyləyənin iradəistəyinin yerinə yetirilməsi tələb olunan cümlə.

Geniş cümlə - bir və ya bir neçə ikincidərəcəli üzvləri olan cümlə genişdir.

Təkrar – poetik nitqin ifa vasitələrindən biridir, emosional təsirin gücləndirilməsi məqsədilə dil elementlərinin birləşmədən təkrarlanması.

Xüsusiləşdirilmiş sözlər və ifadələr – cümlənin üzvü bəzən pauza ilə qonşu sözlərdən ayrılı bilər

ზოგჯერ შეიძლება პაუზით გამოეყოს მეზობელ სიტყვებს და განცალკევებით დადგეს. ამ მოვლენას განკერძოება ჰქვია, ხოლო თვით წევრს - განკერძოებული.

განმარტებითი ლექსიკონი - ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვები და გამოთქმები იმავე ენაზეა ახსნილი.

განსაზღვრება - განსაზღვრება ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს (განსაზღვრავს).

გაპიროვნება - პერსონიფიკაცია - მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და ცხოველებისთვის ადამიანის თვისებების მ-

və ayrıca dura bilər. Bu hadisə xüsusiyyət adlanır, üzv isə xüsusişdirilmiş.

İzahatlı lüğət – bir dilin sözləri və ifadələri eyni dildə də izah edilir.

Təyin – cümlənin ikincidərəcəli üzvüdür ki, isimdən sonra gəlir və əşyanı hər hansı bir əlamətinə əsasən xarakterizə edir (təyin edir)

Şəxsiyyətləşdirmə - personifikasiya – bədii ifadə üsulu, bunun üçün əşyalar və heyvanlar üçün insanın xassələrini yazmaq xarakterikdir. Canlı və cansız əşyaların insanlaşdırılması.

ინერა. უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება.

გარდამავალი ეწოდება ისეთ ზმნას, რომელიც პირდაპირობიექტურ პირს შეიცავს.

გარდაუვალი ჰქვია ისეთ ზმნას, რომელიც პირდაპირობიექტურ პირს არ შეიცავს.

გარემოება ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც ჩვეულებრივ ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება.

გაუვრცობელი წინადადება - მარტივი წინადადება, რომელიც მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს.

გვარი - ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორია სუბიექტური პირის მიმარ-

Keçid birbaşa obyektiv şəxsdən ibarət felə deyilir.

Labüd birbaşa obyektiv şəxsdən ibarət olmayan feil.

Tamamlıq cümlənin ikinci dərəcəli üzvünə deyilir ki, adi feili müşayiət edir və hərəkətin harada, nə zaman, necə nə üçün və ya niyə baş verdiyini göstərir.

Müxtəsər cümlə - yalnız baş üzvlərdən ibarət sadə cümlə.

Feilin növü – feilin formasıdır ki, subyektiv şəxsin feilə qeyd edilən hərəkətə münasibətinin necə

თება ზმნით აღნიშნული მოქმედებისადმი. გვარი სამია ქართულში: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

გრამატიკა - ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, რომელიც სწავლობს ენის აგებულებას. იგი იკვლევს სიტყვათა თვისებებს, მათი ცვლილებისა და წინადადებაში ერთმანეთთან დაკავშირების წესებს.

გრამატიკული კომპეტენცია - ენის გრამატიკული საშუალებების ცოდნისა და გამოყენების უნარი. შეიცავს ლექსიკას, წარმოთქმასა და წინადადებების აგებას. მიჩნეულია კომუნიკაციური კომპეტენციის ნაწილად.

გროტესკი - სტილი, როცა უსაზღვრო კარიკატურულ გაზვიადებაზე, ურთიერთგამომრიცხავ კონტრასტებზე, პარადოქსებზე აგებული ფანტაზიით დეფორმირებულია სინამდვილე.

olduğunu gösterir. Gürcü dilinde feilin növü üçdür: məlum, məchul və orta.

Grammatika – dilçiliyin sahələrindən biridir ki, dilin quruluşunu öyrənir. O, sözlərin xassələrini, onların dəyişikliklərini və cümlədə bir-birinə bağlama qaydalarını araşdırır.

Grammatik bilgi- dilin qrammatik vasitələrinin bilik və istifadə qabiliyyəti. Leksikadan, ifadədən və cümlələrin quruluşundan ibarətdir. Kommunikasiya bilgisinin bir hissəsi hesab edilir.

Grotesk – tərzdir, bu zaman hədsiz karikatur şişirtmə ilə, bir-birini istisna edən ziddiyyətlərlə, paradokslarla qurulmuş fantaziya ilə həqiqət deformasiya olunmuşdur. O, alleqoriyadan fərqlənir ki, bunda da dəqiq və rəşional olaraq əvəz seçilmişdir. İlya Çavçavadzenin

იგი განსხვავდება ალეგორიისგან, რომელშიც ზუსტად და რაციონალურად შერჩეულია შემცვლელი. ილია ჭავჭავაძის “კაცია ადამიანი?!” არის გროტესკის მაგალითი ქართულ ლიტერატურაში.

დამატება - წინადადების მთავარ წევრს, რომელიც ზმნის ობიექტურ პირთან არის შეწყობილი, დამატება ჰქვია.

დამწერლობა - წერის ხელოვნება – ამა თუ იმ ენის გრაფიკული ნიშნების, ასოების სისტემა. დამწერლობა შეიძლება იყოს ძეგლური ანუ ეპიგრაფიული, წიგნური, ლითონური, მდივან-მწიგნობრული და სხვა.

დედა ენა - ენა, რომელიც პიროვნების იდენტობის განმსაზღვრელია. **დედა ენა** მშობლიური ენის სინონიმად გამოიყენება

“Kişi insandır mı?!” gürcü edebiyatında grotesk nümunesidir.

Tamamlıq – feilin obyektiv şəxslə uyğunlaşdığı cümlənin ikinci dərəcəli üzvü tamamlıq adlanır.

Yazı - yazı sənəti – bu və ya digər dilin qrafik əlamətlərinin, hərflərin sistemi. Yazı abidə yəni epigrafik, kitab, dəmir, dəftərxana-divan və s. ola bilər.

Ana dili – şəxsin eyniləşdirməsini müəyyən edən dildir. Ana dili doğma dilin sinonimidir (amma ondan emosional yüklə fərqlənə bilər).

(თუმცა, განსხვავდება მისგან ემოციური დატვირთვით).

დიაგნოსტიკური შეფასება - განმავითარებელი (მიმდინარე) შეფასების კომპონენტი. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება მოსწავლის გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნის დონის და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა ზუსტად დაიგეგმოს სწავლის პროცესი მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

დიალექტი - იგივე კილო; ენის ტერიტორიული, დროითი ან სოციალური სახესხვაობა, რომელსაც ადამიანების მეტ-ნაკლებად შეზღუდული რაოდენობა მოიხმარს და თავისი წყობით (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკური შედგენილობა თუ სემანტიკა)

Diaagnostik qiymətləndirmə - inkişafetdirici (cari) qiymətləndirmənin komponenti. Diaagnostik qiymətləndirmə zamanı şagirdin müəyyən an üçün mövcud bilik səviyyəsinin və vərdiş-bacarıqlarının qiymətləndirilməsi baş verir ki, dərs prosesi düzgün planlaşdırılsın və şagirdin zəif və güclü tərəfləri nəzərə alınsın.

Dialekt – eynilə ləhcə; dilin ərazi, vaxt və ya sosial müxtəlifliyi ki, insanların müəyyən sayı bundan istifadə edir və öz quruluşu ilə (fonetika, qrammatika, leksik təşkil və ya semantika) dil standartından fərqlənir ki, bunun da özü sosial cəhətdən ən nüfuzlu dialekti təqdim edir.

განსხვავდება ენობრივი სტანდარტსაგან, რომელიც თავად წარმოადგენს სოციალურად ყველაზე პრესტიჟულ (დია)ლექსს.

დიალოგი - მეტყველების ფორმა, რომლითაც გადმოცემულია ორი ადამიანის მონაცვლეობითი საუბარი.

დიგლოსია - შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან ერთად, არსებობს ძალიან განსხვავებული, უაღრესად კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად ძალიან რთული) ვარიანტი; იგი უმეტესწილად სამწერლო ენად გამოიყენება ან გამოიყენებოდა.

Dialog – nitqin formasıdır ki, iki insanın söhbətini ötürür.

Diqlosiya – nisbətən sabit dil vəziyyətidir ki, bunda dilin ilkin dialektləri ilə yanaşı, çox fərqli, kodifikasiya edilmiş (bir çox hallarda qrammatik cəhətdən çox mürəkkəb) variant; əsasən yazılıq dilində istifadə olunurdu və ya olunur.

დიოთირამბი - სახოტბო ლექსი ძველ ბერძნულ პოეზიაში. ღღეს ნიშნავს უბომო, გადაჭარბებულ ქებას.

დისკუსია რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვაა კამათის, პაექრობის გზით, რომლის საბოლოო მიზანია მოხდეს შეთანხმება. დისკუსია შეიძლება იყოს ზეპირი (ტელევიზიით, შეხვედრის დროს) და წერილობითი (საგაზეთო, სამეცნიერო)...

დრო - ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როდის ხდება მოქმედება: თქმის დროს, თქმამდე თუ თქმის შემდეგ. ამის მიხედვით დრო სამია ქართულში: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

Difiramb – qədim yunan poeziyasında şeir. Hal-hazırda nəhəng, həddən çox şişirdilmiş tərifidir.

Diskussiya mübahisə, müzakirə yolu ilə hər hansı bir mübahisəli məsələnin ictimai təhlilidir ki, bunun da son məqsədi razılığa gəlməkdir. Diskussiya şifahi (televiziya, görüş zamanı) və yazılı (qəzet, elmi)... ola bilər.

Zaman – feilin formasıdır, hərəkətin nə vaxt baş verdiyini göstərir: deyilən zaman, deyilənə qədər və ya deyildikdən sonra. Buna əsasən zaman gürcü dilində üçdür: indiki, keçmiş və gələcək.

ელეგია - ლირიკული ლექსი, რომელშიც ავტორის სევდიანი განწყობილება, მწუხარებაა გადმოცემული.

ენა - ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებისაგან შემდგარი ნიშანთა რთული სისტემა, რომელიც შექმნილია ან ბუნებრივი გზით, ან ადამიანის მიერ.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია - ემყარება ენათა ისტორიულად ნათესაურ ურთიერთობას, ე. ი. ორი ან მეტი ენის წარმომავლობას ერთი ენისაგან.

ენათა კონტაქტები - გამოყოფენ ენათა კონტაქტების ორ სახეს: ა. **დისტალურს** - რომელიც ხორციელდება მონოლინგვიზმის პირობებში ენათა შორის მჭიდრო

Elegiya – lirik şeir, bunda müəllifin kədərli əhval-ruhiyyəsi qüssə ilə ötürülür.

Dil – fonetik, leksik və qrammatik vasitələrdən ibarət əlamətlərin mürəkkəb sistemidir ki, təbii yolla və ya insan tərəfindən yaradılmışdır.

Dillərin geneoloji təsnifatı – dillərin tarixi qohumluq əlaqəsinə əsaslanır, belə ki iki və ya artıq dilin bir dildən yaranmasına.

Dillərin əlaqələri – dillərin əlaqələrinin iki növünü ayırırlar: a. **distal** – monolinqvizm şərtlərində dillər arasında sıx təmasın olmadığına həyata keçirilir və b. **proksimal** - bilinqvizm şərtlərində dillər arasında sıx əlaqə olduğu zaman və bunun nəticəsi nəinki

შეხების არარსებობისას და ბ. **პროესიმალურს** - ბილინგვიზმის პირობებში ენათა შორის მჭიდრო კონტაქტის დროს, რისი შედეგიც შეიძლება იყოს არა მარტო ნასესხობანი, არამედ ერთ-ერთი ენის მოდიფიკაცია ან თვისებრივად სრულიად ახალი ენობრივი სისტემის განვითარებაც კი.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია აჯგუფებს ენებს სიტყვათა აგებულების მიხედვით, ანუ, სხვაგვარად, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება სიტყვათა ფორმა, რა საშუალებებს მიმართავს ენა სიტყვებს შორის დამოკიდებულების აღსანიშნავად.

ენათა ფლობის ექვსდონიანი სისტემა - ზოგადევროპული ენობ-

alınma, eləcə də dil modifikasiyalarından biri və ya xassə baxımından tam yeni dil sisteminin inkişafı da ola bilər.

Dillərin morfoloji təsnifatı dilləri sözlərin quruluşuna əsasən qruplaşdırır, yəni başca cür, sözlərin formasının necə dəyişdiyinə, sözlər arasında münasibəti qeyd etmək üçün dilin hansı vasitələrə müraciət etdiyinə əsasən.

Dilə sahibolmanın altısəviyyəli sistemi – Ümumavropa dil siyasəti müasir dillərin öyrənilməsi, tədrisi və

რივი პოლიტიკა თანამედროვე ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის ითვალისწინებს ენათა ფლობის ექვსდონიან სისტემას, რომელიც იყოფა ჯერ სამ მსხვილ ერთეულად - A, B, C, ხოლო თითოეულ მათგანში ორი ძირითადი დონე გამოიყოფა: A.

ელემენტარულად

ფლობა: ენის გასაღები (A1); ენის საფუძველი (A2); B. **დამოუკიდებლად**

ფლობა: ზღვრული (B1); ზღვრული განვითარებული (B2); C. **თავისუფლად ფლობა:** პროფესიონალური (C1); სრულყოფილი (C2)

ენის დაუფლება - პროცესი, რომლის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია, შემსწავლელის მხრიდან იყოს ნებაყოფ-

ციმტლენდირლმასი უწუნ დილლარა სახილმანინ აღისავიყყასი სისტემინი ნაზარა აღრ ვა ბუ და უწ ირი ვაჰიდლარა ბაღუნურ - A, B, C, onlardan hər birində isə iki əsas səviyyə ayrılır: A. **Elementar dilbilmə:** dilin açarı (A1); dilin əsası (A2); B. **Müstəqil dilbilmə:** hüdudi (B1); hüdudi inkişaf etdirilmiş (B2); C. **Azad dilbilmə:** peşəkar (C1), mükəmməl (C2).

Dilə sahibolma – prosesdir ki, bunun nailiyyətlə keçilməsi üçün dil öyrənmə tərəfindən könüllü və düşünülmüş yanaşma tələb olunur. İstənilən dilə sahibolma üçün dərs prosesi kifayət etmir, dilə sahib

ლობითი და გაცნობიერებული მიდგომა. ნებისმიერი ენის დაუფლებისათვის საკმარისი არ არის საგაკვეთილო პროცესი – იმისათვის, რომ ენას დაეუფლო, უნდა იყენებდე მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვილაპარაკოთ, ვიკითხოთ და ვწეროთ ამ ენაზე.

ენის ისტორია შეისწავლის მოცემული ენების წარმოშობას, მის ურთიერთობას მონათესავე ენებთან, იმ ცვლილებებს, რაც ენის სისტემამ განიცადა ფუძენიდან გამოყოფის შემდეგ და ა. შ.

ენის ფლობა - პიროვნების უნარი, რეალურ სიტუაციებში ილაპარაკოს, გამოიყენოს ათვისებული (შესწავლილი) ენა. მშობლიურთან მიახლოებული ფლობა მიიღწევა მაშინ,

olmaq üçün dildən istifadə etmək lazımdır. Başqa sözlərlə desək, həmin dildə danışmaq, oxumaq lazımdır.

Dilin tarixi verilən dillərin yaranmasını, onun qohum dillərlə əlaqəsini, dil sisteminin kök-dildən ayrıldıqdan sonra dəyişməsinə və s. öyrənir

Dilbilmə - insanın bacarığıdır ki, real vəziyyətlərdə mənimsədiyini (öyrəndiyi) dildə danışsın, istifadə etsin. Ana dilinə yaxın dilbilməyə insan 20 000-40 000 sözə sahib olanda nail olur, amma danışdığı dilinə sahib olmaq üçün 3 000 söz də kifayət edir.

როდესაც ადამიანი ფლობს 20 000 – 40 000 სიტყვას, თუმცა, საბაზისო სასაუბრო ენის ფლობისათვის საკმარისია 3 000 სიტყვაც კი.

ენობრივი (ლინგვისტური)

კომპეტენცია - 1. ერთი ან მეტი ენის სახესხვაობის გამოყენების შესაძლებლობა ურთიერთობისათვის; ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ფართო / შეზღუდული ენობრივი კომპეტენცია. 2. შესაძლებლობა, გააანალიზო ენობრივი სახესხვაობა აღწერილი კატეგორიების მიხედვით (ტერმინი *მეტალინგვისტური კომპეტენცია* ამავე მნიშვნელობით გამოიყენება).

ენობრივი პოლიტიკა - მოცემულ სახელმწიფოში ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთე-

Dil (lingvistik) kompetensiyası –

1. Ünsiyyət üçün bir və ya bir neçə dilin fərqlinin istifadəsi imkanı; insanın geniş/məhdud dil kompetensiyaları ola bilər. 2. Təsviri kateqoriyalara əsasən dil fərqlərini analiz etmək (metalingvistik kompetensiya termini də eyni mənada istifadə olunur)

Dil siyasəti – verilən dövlətdə və ya inzibati-ərazi vahidi çərçivəsində burada mövcud dil(lər)in inkişafı və dil vəziyyətinin səmərəli idarəetməsi

ულის ფარგლებში მიზან-
მიმართულად გატარე-
ბული ღონისძიებები იქ
არსებული ენ(ებ)ის გან-
ვითარებისა და ენობრივი
სიტუაციის ეფექტურად
მართვის მიზნით. ამავე
მნიშვნელობით გვხვდება
ტერმინი **გლოტობოლი-
ტიკა**. ეს არის ნებაყოფ-
ლობითი ქმედება, ოფი-
ციალური თუ იძულებითი,
რომელიც ეყრდნობა
გარკვეულ პრინციპებს.
ენობრივი პოლიტიკის
პროგრამა ეხება ენობრივ
უფლებებს (კერძოდ,
უმცირესობებს), სასა-
მართლოებსა და ადმინი-
სტრაციებს, საჯაროობის
ასპექტებს, მედიასა და
ენის სწავლებას (დანყე-
ბითი სკოლიდან უმაღ-
ლეს და პროფესიულ-
ტექნიკურ განათლებამ-
დე). ამ უკანასკნელის

მაqsადი ილე მაqsადyონლუ შაკილდე
keqirilენ tედბირლერ. Eyni mენადა
qლოსiyasət termininე დე tესადუფ edilir.
Bu, kონuல்லu, rესმი vე ya mეcburi bir
hერəkətdir ki, mუəyyენ prinsiplərə
əsaslanır. Dil siyaseti programı dil
hüquqlarına (xüsusilə dე azlıqlara),
məhkəmələtə və administrasiyalara,
ictimailik aspektlərinə, mediya və
dilin öyrənilməsinə (ibtidai
məktəbdən ali və peşə-texniki
təhsilinə qədər) aiddir. Bu
sonuncunun sahəsinə müdaxilə
etmək dil təhsili siyaseti adlanır.

სფეროში ჩარევას ეწოდება ენობრივი განათლების პოლიტიკა.

ენობრივი სიტუაცია - ტერმინი აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ამ სახის მონაცემებს: რამდენი ენა და რომელი ენები გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ.

ეპითეტი - მხატვრული განსაზღვრა, პოეტური განმარტება, დახასიათება, რომელიც მიგვიგებს კითხვაზე "როგორი?". უხშირესად ზედსართავი სახელით. მაგალითად:

Dil vəziyyəti – termin verilən vaxt və yerdə dilin istifadəsinin ümumi konfigurasiyasını bildirir və növbəti göstəricilərdən ibarətdir: verilən sahədə neçə dil və hansı dillərdən istifadə olunur, bu dillərdə neçə nəfər danışır, hansı vəziyyətdə, verilən cəmiyyət üzvlərinin bu dillərə hansı əhval-ruhiyyə və yanaşmaları var.

Epitet – bədii müəyyənləşdirmə, poetik izahat, xarakterizə etmə. “Necə?” sualı ilə göstərilir. Əsasən də sifətlə. Məsələn: iti su və s. Təyindən fərqlənir.

ანკარა წყალი და ა.შ.
განსაზღვრებისგან გამო-
ირჩევა.

ეპილოგი - ლიტერატურუ-
ლი ან თეატრალური
ნაწარმოების დასკვნითი
ნაწილი, სადაც მოკლედ
გადმოცემულია მოქმედ
პირთა შემდგომი ბედი ან
განხილულია ნაწარმო-
ების ზნეობრივი და
ფილოსოფიური ასპექ-
ტები. თეატრალურ დრა-
მაში ეს არის დასკვნითი
მონოლოგი - მიმართვა
მაყურებლისადმი ნაწარ-
მოების შინაარსის შეჯა-
მების, ახსნის, სწავლების
მიზნით.

ეპიტაფია - წარწერა საფ-
ლავის ქვაზე. წარმოიშვა
ანტიკურ სამყაროში. ეპი-
ტაფიისთვის დამახასიათე-
ბელია მცირე ფორმა, მი-
მართვა მიცვალებული-
სადმი ან მიცვალებილისა

Epiloq – ədəbi və ya teatral əsərin
yekun hissəsi, burada qısaca olaraq
qəhrəmanların sonrakı aqibəti verilir
və ya əsərin əxlaqi və fəlsəfi
aspektləri təhlil edilir. Teatral
dramda bu, yekun monoloqudur -
əsərin məzmununun təlim məqsədilə
yekunlaşdırılması, izahatıdır.

Epitafiya – məzar daşının yazısı.
Antik dövrdə yaranmışdır. Epitafiya
üçün kiçik forma, mərhuma müraciət
və ya mərhumun bu dünyada qalanlar
üçün xutabı xarakterikdir. Zamanla
epitafiya ilə yanaşı satirik, parodiyalı
epitafiyalar yaranırlar. Aleksandr
Makedoniyalıya həsr edilmiş

ამ ქვენად დარჩენილებ-
თან. დროთა განმავლო-
ბაში საეპიტაფიო ხოტბე-
ბის გვერდით ჩნდება
სატირული, პაროდული
ეპიტაფიები. ალექსან-
დრე მაკედონელისადმი
მიძღვნილი ეპიტაფია.

ეპოსი - სინამდვილის
ასახვა თხრობითი გზით,
ავტორი უმეტესწილად არ
ფიგურირებს. ადამიანისა
და მისი ცხოვრების
ასახვის ტიპის ეპოსი იყო
პროზაულ და პოეტურ
ფორმებად: დიდი, საშუა-
ლო და მცირე. დასავ-
ლეთის კულტურაში
ეპოსის უძველესი და
უთვალსაჩინოესი ნიმუშე-
ბია ილიადა, ოდისეა და
ნიბელუნგენიადა, ხოლო
აღმოსავლეთში — მაჰაბ-
ჰარატა, რამაიანა და
შაჰნამე. ეპოსის ჟანრებია:
ეპოპეა, სიმღერა (ხალხუ-

epitafiya.

Epos – hekayət yolu ilə həqiqətin təsvir edilməsi, müəllif əksər hallarda iştirak etmir. İnsanın və onun həyatının təsviri tipinin eposu prozaik və poetik formalarda idi: böyük, orta və kiçik. Qərbi mədəniyyətində eposun qədim və əyani nümunələrindən biri İliada, Odiseya, Şərqdə isə - Mahabharata, Ramayana və Şahnamə. Eposun janrlarıdır: epopeya, mahnı (xalq eposu), hekayə, roman, poema, ballada, novella, təmsil, etyud, esse. Bədii-sənədli janrlardır: memuar, gündəlik, tərcümeyi-hal, sərgüzəşt, oçerk, qəhrəmanlıq eposu.

რი ეპოსი), მოთხრობა, რომანი, პოემა, ბალადა, ნოველა, იგავ-არაკი, ეტიუდი, ესე. მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრები: მემუარი, დღიური, ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, მოგზაურობა, ნარკვევი, საგმირო ეპოსი.

ეროვნული ენა - ერის დედაენა, მისი ისტორიული და თანამედროვე ვინაობის გამომხატველი; მიუხედავად ამისა, ყველგან არ არსებობს ცალსახა მიმართება ერსა და ენას შორის, რადგანაც ზოგიერთი ენა რამდენიმე ერს ემსახურება, ხოლო ზოგიერთ ერს რამდენიმე ენა აქვს. გვხვდება ასევე ტერმინი *ეთნონაციონალური ენა*.

Milli dil – millətın ana dili, onun tarixi və müasir kimliyinin ifadəsı; buna baxmayaraq, hər yerdə dil və millət arasında bir növ yanaşma yoxdur, çünki bəzi dil bir neçə millətə xidmət edir, bəzi millətın isə bir neçə dili var. Eləcə də etnomilli dilə də təsadüf edilir.

ესე - ლიტერატურულ-პუბლიცისტური ან სამეცნიერო ხასიათის ნარკვევი.

Esse- ədəbi-publisistik və ya elmi xarakterli oçerk.

ეტრათი (იგივე პერგამენტი) საქართველოში ყველაზე გავრცელებული საწერი მასალა იყო. მას ამზადებდნენ ცხვრის, თხის, ბატკნის, ხბოს ან ირმის ტყავისაგან.

Etrat (eynilə perqament) Gürcüstanda ən çox yayılmış yazı materialı idi. Onu qoyunun, keçinin, quzunun, dananın və ya maralın dərisindən hazırlayırdılar.

ექსპოზიცია არის ნაწარმოების ის ნაწილი, სადაც მოცემულია ნაწარმოებში გადმოცემული მოქმედების წინავითარება. ავტორი სშირად ნაწარმოებს ექსპოზიციით იწყებს, თავიდანვე გვაცნობს მოქმედების ადგილს, დროს, მთავარ მოქმედ პირს...

Ekspozisiya əsərdə verilən hərəkətin əvvəlki cərəyanı göstərilən hissəsidir. Müəllif əsəri əksər hallarda ekspozisiya ilə başlayır, başdan bizi hərəkətin yeri, vaxtı, baş qəhrəmanları ilə tanış edir....

ვერბალური კომუნიკაცია - კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს სიტყვების საშუალებით

Verbal kommunikasiya – kommunikasiyanın növlərindən biridir ki, sözlərin vasitəsilə informasiyanın ötürülməsini nəzərdə

ბით ინფორმაციის გადა-
ცემას.

ვნებითი გვარი - ვნებითი
გვარის ზმნები ორგვარია:
დინამიკური და სტატიკუ-
რი. დინამიკურია ვნებითი,
რომელიც გამოხატავს
მოქმედების მსვლელო-
ბას, პროცესს: *მთებს
ნისლი ეფინება (ვომ.).*
*„მთები, ნისლით იფარე-
ბა“;* *„მთები მწვანდება“;*
„მთები შრება“.

ზედსართავი სახელი ჰქვია
მეტყველების ნაწილს,
რომელიც ახლავს არსე-
ბით სახელს და გამო-
ხატავს საგნის ნიშან-
თვისებას.

ზმნა ჰქვია მეტყველების
ნაწილს, რომელიც
გამოხატავს მოქმედებას
ან მდგომარეობას. მაგ.,
მღერის გამოხატავს მოქ-
მედებას, ზის - მდგომარე-
ობას.

tuttur.

Məchul növ – məchul növlü fellər
iki cürdür: dinamik və statik.
Dinamik məchul növ hərəkətin
gedişini, prosesini ifadə edir: dağlara
duman düşür. “Dağlar dumanla
örtülür”, “Dağlar yaşllaşırlar”;
“Dağlar quruyurlar”.

Sifət nitq hissəsi adlanır ki, isimdən
sonra gəlir və əşyanın əlamətini
bildirir.

Fel nitq hissəsidir, hərəkəti və ya
vəziyyəti bildirir. Məsələn, oxuyur –
hərəkəti bildirir, oturur – vəziyyəti.

ზმნიზელა ჰქვია სრული მნიშვნელობის მქონე უცვლელ მეტყველების ნაწილს, რომელიც ჩვეულებრივ ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება.

ზმნისწინი ჰქვია ზმნის წინა ნაწილს, რომელიც რამდენადმე უცვლის მას მნიშვნელობას. მისი ძირითადი ფუნქციებია: მიმართულების გამოხატვა, მყოფადის წარმოება; სრული ასპექტის წარმოება; სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა.

ზღაპარი - პოეტური გამოწვლი, ფანტასტიკურ ამაბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუ-

Zərf tam əhəmiyyətə malik dəyişməz nitq hissəsi adlanır və onu adi fel müşayiət edir və harada, necə, nə vaxt, niyə və nə üçün hərəkətin baş verdiyini göstərir.

Felönü mənasını dəyişən felin ön hissəsi adlanır. Onun əsas funksiyalarıdır: istiqamətin ifadə olunması, gələcəyin əmələ gətirilməsi, tam aspektin yaranması; sözün əhəmiyyətinin dəyişməsi.

Nağıl – poetik uydurma, fantastik əhvalat üzərində qurulmuş hekayədir ki, bu da həqiqətlə ideya, tematika, motivlərlə, süjet, dil xüsusiyyətləri, milli koloritlə bağlıdır. Nağıl nəsr və şeir növündə olur. O, epos janrlarından biridir, ona əfsanə yaxındır.

ჟეტით, ენობრივი თავისებურებით, ეროვნული კოლორიტით. ზღაპარი არის პროზაულიც და ლექსიც. იგი ეპოსის ერთ-ერთი ჟანრია, მას უახლოვდება თქმულება.

თავი - თხზულების ტექსტის ნაწილი, წარმოდგენილი საკუთარი რიგითი ნომრით, ზოგჯერ სათაურითაც.

თანაავტორი - პირი, რომელმაც სხვასთან (სხვებთან) ერთად დაწერა ნაწარმოები.

თეზისები - სამეცნიერო პრომის, მოხსენების, სტატიის ძირითადი დებულებანი.

თეთრი ლექსი - ურიტმო ლექსი.

თემა 1. (გრამატიკაში)- ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის, თემა ჰქვია. მაშას-

Fəsil – hekayənin mətninin hissəsidir, öz sıra nömrəsi ilə, bəzən də başlıqlarla təqdim olunur.

Həmmüəllif – başqası (başqaları) ilə birlikdə əsəri yazan şəxs.

Tezislər – elmi əsərin, məruzənin, məqalənin əsas müddəaları.

Ağ şeir – qafiyəsiz şeir.

Mövzu 1. (Qrammatikada) – feilin I və II seriyasının bütün sıraları üçün ümumi olan feilin hissəsi mövzu adlanır. Beləliklə, boyayırsan birinci seriyasının mövzudur, boya – ikincinin. Birinci seriyanın

დამე, ღებავ პირველი სერიის თემაა, ღებ- -მეორისა. პირველი სერიის თემას მეორისაგან -ავ ბოლოსართი განასხვავებს. მაშასადამე, -ავ თემის ნიშანია 2. (მხატვრულ ლიტერატურაში) - დედააზრი ლიტერატურული ნაწარმოებისა, რომელიც მის შინაარსს აწესრიგებს და იდეურ-ემოციურ მთლიანობად აქცევს, ნაწარმოების ძირითად იდეაზე მიუთითებს. ისინი განუყოფელ კავშირშია, ხანდახან ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ იგივეობას არ წარმოადგენს.

mövzusunu ikincidən – san şəkilçisi fərqləndirir. Belə ki, - san mövzunun əlamətidir. 2. (bədiî ədəbiyyatda) - ədəbi əsərin əsas fikridir, onun məzmununu qaydaya salır və ideya-emosional bütövlüyə çevirir, əsərin əsas ideyasını göstərir. Onlar ayrılmaz əlaqə yaradırlar, bəzən bir-biri ilə uyğun gəlirlər, amma eynini göstərmirlər.

თვითმასწავლებელი - სახელმძღვანელო წიგნი ენის ან რაიმე საქმის (თამაშის, მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრის...) დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

თქმა - იდიოლექტზე უფრო დიდი ერთეულია თქმა, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ერთ ოჯახს, ერთ კუთხეს და სოფელსაც კი.

თქმულება - ხალხური სიტყვი-ერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასულ ამბავზე, ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უძველესად, გვხვდება როგორც პროზაულ, ისე ლექსითი და შერეული სახით. პროზაული თქმულება გადმოცემასა და ლეგენდას უკავშირდება. ქარ-

Rəhbər kitab – dilin və ya hər hansı bir işi (oyunu, musiqi alətinin ifasını...) müstəqil öyrənmələr üçün dərslik, kitab.

Şivə - idiolektdən daha böyük vahiddir və bir ailəni, bir quşəni və kəndi xarakterizə edə bilər.

İbrətli hekayə - xalq ədəbiyyatının ən qədim janrlarından biridir, əksər hallarda keçmiş əhvalat haqqında realistik hekayədir, bəzən də uydurulmuş əhvalat da əsasını yaradır. Həm poetik, eləcə də prozaik və qarışıq şəkildə təsadüf edilir. Prozaik ibrətli hekayə uydurma və ötürülən ədəbiyyatla əlaqədardır. Gürcü folklorunda ibrətli hekayələrin böyük hissəsi tarixidir.

თულ ფოლკლორში თქ-
მულებათა დიდი ნაწილი
ისტორიულია.

თხრობითი წინადადება -
თხრობითია წინადადება,
რომელიც მოგვითხრობს,
გადმოგვცემს რასმე. იგი
წარმოითქმის მშვიდად,
წინადადების ბოლოს ხმას
ვადაბლებთ და ვჭერ-
დებით. თხრობითი წინა-
დადების ბოლოს წერ-
ტილი დაისმის.

იგავ-არაკი - ლირიკულ-
ეპიკური ჟანრის ნაწარ-
მოები, ზნეობრივ-დამრი-
გებლური ხასიათის თხზუ-
ლება. მისი გმირები არიან
ცხოველები, მცენარეები,
საგნები, მაგრამ იგულის-
ხმებიან ადამიანები. საფუ-
ძვლად უდევს შედარება.
ახასიათებს ნართაული
თქმა, ალევკორიულობა,
სატირულ-იუმორისტული,
კომიკური და რაც მთა-

Nəqli cümlə - nəyinsə nəql edildiyi,
ötürüldüyü cümlə nəqli cümlə
adlanır. O, asta oxunur, cümlənin
sonunda səs alçaldılır və dayanılır.
Nəqli cümlənin sonunda nöqtə
qoyulur.

Təmsil – lirik-epik janrda olan əsər,
əxlaq-nəsihət xarakterli hekayət.
Onun qəhrəmanları heyvanlar,
bitkilər, əşyalar olurlar, amma
insanlar nəzərdə tutulurlar. Əsasını
müqayisə təşkil edir. Allegoriklik,
satirik-yumoristiklik, komikliklə
xarakterizə olunurlar, əsasən də
əxlaqi-tərbiyəvi xarakter daşıyır.

ვარია, მომართვა შეგონებისათვის ახლოს დგას იგავთან.

იდეა - სპეციფიკური კონცეფცია, რომელიც ადამიანის გონებაში წარმოიქმნება ფიქრის შედეგად. ტერმინი გამოიყენება, როგორც პოპულარულ, ისე ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში.

იდენტობის ენა - ენის სახესხვაობა, რომელზეც შესაძლოა ლაპარაკობდნენ თავისუფლად, იშვიათად ან თუნდაც არასდროს, მაგრამ რომელიც ფუნქციონირებს, როგორც მიკუთვნების დასადგენი საშუალება (სიმბოლური, ემოციური) ხალხის მოცემულ საზოგადოებაში ან ჯგუფში. ამის მაგალითად გამოდგება დავით კლდიაშვილის შემთხვევა. ცნობილია, რომ რუსეთი-

İdeya – spesifik konsepsiyadır ki, insanın beynində fikrin nəticəsində yaranır. Termin həm populyar, eləcə də fəlsəfi terminologiyada istifadə olunur.

Eyniləşdirmə dili - dilin növüdür ki, onda sərbəst danışıla bilər və ya nadir və ya heç vaxt danışılmasın, amma fəaliyyət göstərsin, verilən cəmiyyətdə və ya qrupda aidliyin təyin edilən vasitəsi kimi (simvolik, emosional). Buna misal Davit Kldiasvilini göstərmək olar. Məlumdur ki, Rusiyadan Gürcüstana qayıdan klassik ana dilini unutmuş və özünü eyniləşdirmək motivindən irəli gələrək, yenidən ana dilini öyrənməyə başladı.

დან საქართველოში დაბრუნებულ კლასიკოსს დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა და მან, თვითიდენტიფიკაციის მოტივიდან გამომდინარე, ხელახლა შეისწავლა მშობლიური ენა.

იდიოლექტი განისაზღვრება, როგორც ერთი ინდივიდის მეტყველება გარკვეული სტილით. ერთი ინდივიდის მეტყველება რამდენიმე იდიოლექტად შეიძლება დაიშალოს.

